

დამფუძნებელი კრების არჩევნები - პროცესის დემოკრატიული ხასიათი და  
კონსტიტუციური წესრიგი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში

გოჩა ვანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ხვადაგიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთა  
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო  
მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე  
საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის  
გოჩა ვანაძის

განაცხადი

*ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გოჩა ვანაძე

2022

## სარჩევი

სარჩევი	iii
აბსტრაქტი	1
Abstract	2
შესავალი	5
საკვლევი საკითხი	8
მეთოდოლოგია	18
კონსტიტუციის პრინციპებისა და საარჩევნო დებულების შესაბამისობა დემოკრატიული საარჩევნო უფლებების პრინციპებთან	20
დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა	25
დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროცესი კონსტიტუციისა და დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების პრიზმიდან	31
საარჩევნო პროცედურები	33
დარღვევები არჩევნების დღეს	41
დამატებითი საარჩევნო დღეები და შედეგები	43
ბიბლიოგრაფია	48

## აბსტრაქტი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია “მკვდრადშობილ” კონსტიტუციად მიიჩნევა, მისი მიღებიდან ფუნქციონირების შეწყვეტამდე გასული მცირე დროის გამო. ამიტომ, კონსტიტუციონალისტები და ისტორიკოსები, ამ დოკუმენტის და მისი ფუნქციონირების ანალიზისას, ძირითადად იყენებენ თავად ტექსტის შინაარსს, ან იმ დებატებს, რომელიც მისი შექმნის პროცესში არსებობდა. მკვლევარებს საშუალება არ აქვთ დააკვირდნენ უშუალოდ კონსტიტუციის მოქმედების პრაქტიკულ განზომილებებს, მის მიხედვით შექმნილ საკანონმდებლო ბაზას, სასამართლოს მიერ შექმნილ პრეცედენტებს, განმარტებებს და ასე შემდეგ. ეს კი ზღუდავს კვლევის არეალს და ხშირად, მსჯელობას ჰიპოთეტურად აქცევს, რადგან გამოდის, რომ კონსტიტუციის ნაცვლად ვსაუბრობთ დოკუმენტზე, რომელშიც პრინციპების ჩამონათვალია, რომლებსაც თითქოს არ ჰქონია პრაქტიკული გამოვლინება. თუმცა, პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნების საარჩევნო დებულების გაცნობისას დაიბადა კითხვა, ხომარ შეგვეძლო კონსტიტუციის ცალკეული ასპექტების ანალიზისას წავსულიყავით უკან და კონსტიტუციური პრინციპების მუშაობის შესაფასებლად მოგვეხმო მის ერთ დოკუმენტად აკინძვამდე დაფუძნებული ინსტიტუციები და ამ ინსტიტუციების ფარგლებში წარმართული პოლიტიკური პროცესები. ამ ნაშრომის მიზანია აჩვენოს დასაშვებია თუ არა ვისაუბროთ გარკვეული კონსტიტუციური პრინციპების დაცვის შესახებ პირველ რესპუბლიკაში, იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კოდირებული კონსტიტუცია, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მაგალითზე. საარჩევნო პროცესის დაკვირვება, ანალიზი და მისი კონსტიტუციურ პრინციპებთან შედარება საშუალებას გვამლევს უფრო ღრმა კონტექსტში დავინახოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამ ტექსტში დემოკრატიულ-სამართლებლივი პრინციპების შუქზე

გაანალიზებულია ერთის მხრივ, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია და მასში კოდირებული საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის საჭირო პრინციპები, ხოლო მეორეს მხრივ, ის კანონმდებლობა, რომელზე დაფუძნებითაც წარიმართა პროცესი. ასევე აღწერილია უშუალოდ საარჩევნო პროცესი, პოლიტიკურ კონტექსტთან ერთად და ნაჩვენებია რამდენად იყო გათვალისწინებული პრაქტიკაში დემოკრატიულ-უფლებრივი და კონსტიტუციური პრინციპები. ამ დაკვირვებამ აშკარად აჩვენა, რომ კონსტიტუციაში ასახული პრინციპები დაცული იყო საარჩევნო საკანონმდებლო ბაზაში (როგორც კონსტიტუციაში, ასევე საარჩევნო დებულებაში). ასევე, ამ პრინციპების დაცვის მცდელობა ხარვეზების მიუხედავად, ჩანს უშუალოდ საარჩევნო პროცესშიც. ამ შემთხვევაში, მთავარი დაბრკოლება საარჩევნო დარღვევების მასშტაბის შემოწმებაა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციური სტრუქტურა, პრინციპების შესაბამისად, ცდილობდა როგორც დარღვევების პრევენციას, ასევე უკვე მომხდარ დარღვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემას. პატრიკ მარლოეს კონსტიტუციური დემოკრატიული არჩევნების ოთხი პრინციპი, ინკლუზიურობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ამომრჩევლის სანდობა პირდაპირ ებმის კონსტიტუციას და საკანონმდებლო ბაზას, ხოლო მინიმუმ ზოგად პრინციპებად გაჰყვება საარჩევნო პროცესსაც.

## **Abstract**

The 1921 Constitution of the First Republic of Georgia is considered a "stillborn" document, due to the short time that passed between its adoption and the termination of its functioning. Therefore, constitutionalists and historians, when analyzing this document and its functioning, mainly use the content of the text itself, or the debates that existed in the process of its creation.

Researchers do not have the opportunity to directly observe the practical dimensions of the Constitution, the legal framework created according to it, precedents discussed by the court, definitions and so on. This limits the scope of the research and often makes the reasoning hypothetical, because it turns out that instead of the constitution, we are talking about a document with a list of principles that seem to have had no practical manifestation. However, when familiarizing with the election regulations of the first republic's founding assembly, a question arose, whether we could go back in the analysis of individual aspects of the constitution and to evaluate the work of the constitutional principles, refer to the institutions established before binding it into a single document and the political processes conducted within these institutions. The purpose of this paper is to show whether it is permissible to talk about the protection of certain constitutional principles in the First Republic, in the period when the codified constitution was not yet developed, using the example of the elections of the Constituent Assembly of Georgia. Observing, analyzing and comparing the election process with the constitutional principles allows us to see the Constitution of the Democratic Republic of Georgia in a deeper context. In this text, in the light of democratic-legal principles is discussed, on the one hand, the Constitution of the First Republic and the principles necessary for the implementation of the right to vote coded in it, and on the other hand, the legislation, based on which the process was conducted, are analyzed. The electoral process is also described directly, along with the political context, and it is shown to what extent democratic-legal and constitutional principles were considered in practice. This observation clearly showed that the principles enshrined in the constitution were respected in the electoral legal framework (both in the constitution and in the electoral statute). Also, the attempt to protect these principles, despite the shortcomings, can be seen directly in the election process. In this case, the main obstacle is checking the scale of election violations, but we can say that the institutional structure, in accordance with the principles, tried both to prevent violations and to give an adequate response to the problems that have already occurred. Patrick Merloe's four principles of constitutional democratic elections, inclusiveness, transparency, accountability

and voter trustworthiness, are directly related to the constitution and legal framework, and at least as general principles follow the electoral process as well.